საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

„სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“
კონკურსის პირობები

კონკურსი განხორციელდება განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „კულტურის ხელშეწყობა“ (30 10 02)
პრიორიტეტის **„სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა”** ფარგლებში

მუხლი 1. კონკურსის „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“ მიზანი

1.1 კონკურსის „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“ - (შემდგომში-კონკურსი) მიზანია ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია მაღალპოლიგრაფიული წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობით, მათ შორის:
ა) სახვითი ხელოვნების განვითარების საეტაპო მნიშვნელობის მქონე მოვლენების შესახებ წიგნი-ალბომის მომზადება/გამოცემა;
ბ) სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ხელოვანთა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მათი შემოქმედების წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით წიგნი-ალბომების მომზადება/გამოცემა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

2.1 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ ორგანიზაციებს (შემდგომში -კონკურსანტი);
2.2 კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია არაუმეტეს 3 საკონკურსო განაცხადის (შემდგომში პროექტის) წარმოდგენა;
2.3 საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი;
2.4 წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვროს არა უადრეს **2019 წლის 22 აპრილიდან,** ხოლო დასრულების თარიღად **არა უგვიანეს 2019 წლის 5 დეკემბრისა;**
2.5 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კონკურსისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს **150 000 ლარს,** რომლის ფარგლებშიც გამარჯვებული პროექტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია;
2.6 ცალკეულ პროექტზე სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს **25 000 ლარს;**

2.7 კონკურსში უპირატესობა მიენიჭება:
ა) სახვითი ხელოვნების სფეროში საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებულ იმ პროექტებს, რომლებიც ეძღვნება სახვითი ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს და სფეროში მოღვაწე ხელოვანებს;
ბ) იმ პროექტებს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის, როგორც კარგად ცნობილ, ასევე ნაკლებად ცნობილ ხელოვანთა შემოქმედებას წარმოაჩენს, ან რომელთა შემოქმედების სრულფასოვნად ამსახველი წიგნი-ალბომი არ გამოცემულა;
გ) იმ გამოცემას, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე: თემის აქტუალობით, გამოცემის საერთო კონცეფციით, ვიზუალური მხარით და მისი ტექნიკური პარამეტრებით;
2.8 კონკურსში, შესაძლებელია, უპირატესობა მიენიჭოს კონკურსანტს, რომლის წარმოდგენილი პროექტიც, ითვალისწინებს პარტნიორების ფინანსურ ან სხვა ტიპის თანამონაწილეობას.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

3.1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე, თანდართული (დანართი N1) ფორმის შესაბამისად;
ბ) საკონკურსო განაცხადი დანართი N2-ის - შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- გამოცემის კონცეფცია წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით (PDF ფაილი ან PowerPoint CD / DVD დისკზე) შესაძლებელია მაკეტის სახითაც. პრეზენტაციამ უნდა წარმოაჩინოს გამოცემის ვიზუალური მხარე, დიზაინის ნიმუშები, სავარაუდო ვიზუალური მასალის სპექტრი;
- გამოცემის ტექნიკური პარამეტრები და ბეჭდვის ხარჯები წარმოდგენილი სტამბიდან სრულყოფილი ინვოისების სახით (3 ინვოისი) ;
- ინფორმაცია საგამომცემლო ჯგუფის შესახებ CV - ის სახით;
- პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შემთხვევაში, თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შემთხვევაში, თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.2. კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე;
3.3. საპროექტო განაცხადში გამიჯნული უნდა იყოს გამოცემის ეტაპები:
I ეტაპი - საბეჭდი ფაილის მომზადება;
II ეტაპი - მომზადებული PDF ფაილის ბეჭდვა;

3.4. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებს წიგნი-ალბომების ბეჭდვაზე ახორციელებს კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი;
3.5 გამარჯვებული კონკურსანტის სამინისტროს მხრიდან სრულად დაფინანსების შემთხვევაში, სამინისტროსთვის გადმოცემული ეგზემპლარის ოდენობა განისაზღვროს გამოცემული ტირაჟის არაუმეტეს 30%-ისა;
3.6 გამარჯვებული კონკურსანტის თანადაფინანსების შემთხვევაში, სამინისტროსთვის გადმოცემული ეგზემპლარის ოდენობა განისაზღვრება თანადაფინანსების მოცულობის გათვალისწინებით, ინდივიდუალური წესით;
3.7. გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს გამოცემული წიგნი-ალბომის 1 ეგზემპლარი 2019 წლის 5 დეკემბრამდე, ხოლო ძირითადი ტირაჟი (არაუმეტეს 30%-ისა) შესაძლებელია გადასცეს სამინისტროს არაუგვიანეს 20 დეკემბრისა;
3.8 პროექტის განხორციელების შემდეგ, კონკურსანტი სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ დანართი N4-ის შესაბამისად (ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით). გამოცემული ტირაჟის 1 ეგზემპლარის წიგნი-ალბომის საპრეზენტაციო ფაილის თანხლებით;
3.9 გამარჯვებულმა კონკურსანტმა, სამინისტროსთან შეთანხმებით ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, უნდა უზრუნველყოს წიგნი-ალბომების გავრცელება მათ შორის: ბიბლიოთეკებში, სახელოვნებო და საგანმანათლებლო პროფილის მქონე ორგანიზაციებში.

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

4.1 სამინისტროში რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში -მინისტრი) მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია;
4.2. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა განხორციელდება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ პროექტის ქულობრივი შეფასების საფუძველზე, 100 ქულის ფარგლებში;

	შეფასების კრიტერიუმი
1.	**პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან**
2.	**პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)**
3.	**ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში**
4.	**შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება**
5.	**პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა**

4.3. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვავაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც 1-ელი და მე-2 კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს. 1-ელ და მე-2 კრიტერიუმებში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

4.4. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის კონკურსანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი (შემდგომში პროექტი) დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას;
4.5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გამარჯვებული პროექტის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) პროექტის მოწონების შესახებ;
ბ) მოწონებული პროექტის სრულად ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ;
გ) პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ;

4.6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, გამარჯვებულ კონკურსანტს, მოსთხოვოს, მისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის დაზუსტების ან სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა;
4.7. საკონკურსო კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული განაცხადის (დანართი N3) წარმოდგენის თაობაზე, კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის culture@mes.gov.ge საშუალებით ეცნობება კონკურსანტს;
4.8. კონკურსანტი ვალდებულია დაზუსტების მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში;
4.9. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის, ან ხარვეზით, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან;
4.10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც წარედგინება მინისტრს;
4.11. კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
4.12. გამარჯვებული კონკურსანტის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის N132 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი 32 10 02) ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების წესის შესაბამისად;
4.13. პროექტის დასრულების შემდგომ, კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია სამინისტროში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში დანართ N4-ის შესაბამისად, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, გამოცემული ტირაჟის 1 ეგზემპლარისა და წიგნი-ალბომის საპრეზენტაციო ფაილის თანხლებით.

მუხლი 5. კონკურსის ვადები

5.1. საკონკურსო განაცხადები მიიღება **2019 წლის 4 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით** (15:00 სთ-მდე) საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. N4, , ან თბილისი, უზნაძის ქ. N52.;
5.2. განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე კონსულტაციები გაიმართება სამინისტროში 2 ეტაპად:
ა) 2019 წლის 7 მარტს 14:00 სთ-ზე;
ბ) 2019 წლის 18 მარტს 14:00 სთ-ზე;
მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4.

5.3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე: www.mes.gov.ge არა უგვიანეს **2019 წლის 19 აპრილისა;**

5.4. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაბრუნდება.